საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო სერტიფიკატებისთვის ქმედითობის დაბრუნების შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (მიღებულ იქნა 22/06/2012წ.) თანდართული განმარტებითი ბარათის[1] თანახმად:

  - „კანონპროექტის ნოვაციას წარმოადგენს საკონსულო თანამდებობის პირთა დანიშვნისას აუცილებელი დამატებითი მოთხოვნის შემოღება. კერძოდ, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარდა, საკონსულო თანამდებობის პირმა დანიშვნამდე უნდა გაიაროს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიიღოს დადებითი შეფასება. აღნიშნული პროგრამის გავლა გაზრდის საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის დონეს და ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვას“.

ამასთან, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა (დიპლომატიური სასწავლო ცენტრი), რომელიც ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე ახორციელებდა საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სპეციალურ სასწავლო პროგრამას/ ტესტირებას 2018 წელს განსაზღვრული ფორმით და სახელით შეწყვიტა ფუნქციონირება, შესაბამისად, დადგა „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში კორექტირების საჭიროება. 2018 წლის 26 დეკემბერს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე თანდართული განმარტებითი ბარათის[2] შესაბამისად:

  - „წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადება განაპირობა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სახელწოდების ცვლილებამ, რაც უკავშირდება მის შემდგომ ფუნქციონალურ დატვირთვას. დიპლომატიური სასწავლო ცენტრის სახელწოდების ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ გარდა საგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებისა, რომელიც

[1] იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/33795
[2] იხ. ბმული: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/180558

უზრუნველყოფს საჯარო მოხელეთათვის ტრენინგების, ლექციების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსების ჩატარებას, ცენტრი ამავდროულად გახდება კვლევითი ტიპის დაწესებულებაც, რომელიც უზრუნველყოფს ექსპერტების მოწვევასა და საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე კვლევების ჩატარებას, დაამყარებს ურთიერთობებს ანალოგიური ტიპის კვლევით ორგანიზაციებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია ცენტრს ეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის <u>დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი</u>".

ვფიქრობ, რომ კანონის მოცემული ჩანაწერი[3], აკონკრეტებს რა (მხოლოდ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდებას (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის <u>დიპლომატიური სასწავლო და კვლევით ინსტიტუტი</u>), შესაძლოა/ სავარაუდოდ აღქმულ იქნეს ისე, რომ 2018 წლის 29 მარტამდე[4] ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის მიერ (დაახლოებით 6 წლის განმავლობაში) გაცემული სერტიფიკატებით დანიშვნა კანონიერ ფარგლებში აღარ ჯდებოდეს.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** კანონის საფუძვლად გაცემული რიგი საკონსულო სერტიფიკატების მფლობელთათვის საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის კანონიერი საფუძვლის უქონლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა შემდგომშიც კვლავ იცვალოს სახელი დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტმა, სასურველი იქნებოდა საკანონმდებლო აქტში ზოგადი მითითებითი ჩანაწერის განხორციელება *(მითუმეტეს, როდესაც უფლებამოსილების განმსაზღვრელი ორგანოს იდენტიფიცირება საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სპეციალური სასწავლო პროგრამითაც იქნება შესაძლებელი, რომელსაც 2012 წლიდან მოყოლებული სახელი არ უცვლია)* საკონსულო სერტიფიცირების განმხორციელებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მიმართებით (ან/და ორივე სსიპ-ს ძველი და

---

[3] კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი: „საკონსულო თანამდებობის პირად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ, დიპლომატიური თანამდებობის პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, გავლილი აქვს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის** მიერ ორგანიზებული სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი";

[4] საქართველოს მთავრობის 27/03/2018 140 დადგენილებით **შეიქმნა** საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი;

ახალი სახელწოდების აღნიშვნა). თუმცა, არა შესატყვისი სერტიფიკატებით დანიშვნა 2019 წლის 10 იანვრამდეც ხორციელდებოდა. მაგალითად, გვხდება რამდენიმე ათეული სერთიფიკატი, რომელიც გაცემული იქნა საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის შემოღებამდე, მათ შორის იმ ვითარებაში, როდესაც საგარეო საქმეთა <u>მინისტრის ბრძანებით ჯერ კიდევ არ იყო კანონით განსაზღვრული სპეციალური სასწავლო პროგრამა</u>[5]. გარდა იმისა, რომ მოცემული პერიოდისათვის (2012 წლის 16 აგვისტომდე) არ იყო დამტკიცებული ის სასწავლო თემატიკა და სერტიფიცირების უზრუნველყოფის პროცესი, საგულისხმოა, რომ მოცემული პერიოდიდან დღემდე საკონსულო საქმიანობის სფერომ მნიშვნელოვანი ფუნქციონალური ცვლილებები განიცადა (გარდა საკონსულო საქმიანობის ახალი კანონის მიღებისა, 2014 წლიდან მოქმედებს ახალი სავიზო პოლიტიკა, შეიცვალა დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი - ე.წ. Back & Front, მიღებულ იქნა საკონსულო სფეროსთან დაკავშირებული არაერთი სამართლებრივი აქტი ა.შ.) და 2012 წლის 16 აგვისტომდე მიღებული ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით ხელმძღვანელობა, მიუხედავად იმისა, რომ მას დაგროვილი ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება[6], არარელევანტური იქნებოდა[7]. შესაბამისად, შეიძლება აუცილებელი იყოს 2012 წლის 16 აგვისტომდე გაცემული სერტიფიკატების ახლით ჩანაცვლება, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 20/07/2018 01-174 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის განსაზღვრულმა რეგულაციით (სასერტიფიკატო გამოცდის წელიწადში ორჯერ ჩატარება) შექმნილია მოქნილი მექანიზმი და არ უნდა წარმოქმნას საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის სურვილის მქონე პირთა და საკანდრო პროცესების შემაფერხებელი გარემოება. ზემოთ მოცემული გამოწვევის აღმოფხვრის მიზნით, უპირველეს ყოვლისა სასურველი იქნებოდა „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ელ პუნქტში ცვლილების კვლავ განხორციელება. მაგალითად პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

- *საკონსულო თანამდებობის პირად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ, დიპლომატიური თანამდებობის პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, <u>ამ კანონის</u>*

---

[5] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს 192 ბრძანებით პირველად იქნა დამტკიცებული საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის წესი;

[6] ცნობისათვის: სერტიფიკატი არ უქმდება საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზების და უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულებისათვის, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში სერტიფიკატის მფლობელი პირის სათანადო კვალიფიკაციაზე ხსენებული დოკუმენტი აღარც უნდა მეტყველებდეს;

[7] არაკანონზომიერი საფუძვლით დანიშნული პირის მიერ განხორციელებულმა საკონსულო ფუნქციებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სადავო საკითხების განხილვის დროსაც.

<u>მიღების შემდგომ</u> გავლილი აქვს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ორგანიზებული <u>საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად</u> სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი.

- **კანონპროექტის მიზანი:** კანონპროექტის მიზანია კანონმდებლობის საფუძვლად გაცემული ყველა სერტიფიკატით საკონსულო თანამდებობის პირად დანიშვნის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა/ აღდგენა.

- **კანონის პროექტის ძირითადი არსი:** კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტში. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს სპეციალური სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელწოდების გარეშე მითითებას.

- **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:**

საქართველოს მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძე,** პირადი ნომერი [redacted]
მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



08/08/2022